

ანგარიშვალდებულების როლი კაპიტალური ტიპის საზოგადოების
მმართველობითი ორგანოების მიერ გათვიცნობიერებული
გადაწყვეტილების მიღებისას

თეონა მარაქველიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____/თეონა მარაქველიძე/

თარიღი: 05.07.2021 წელი.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება კაპიტალური ტიპის საზოგადოების მმართველობითი ორგანოების ანგარიშვალდებულებას აქციონერების/პარტნიორების და მესამე პირების წინაშე და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის როლს კორპორაციულ მართვაში.

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის როლი კორპორაციულ მართვაში განუზომლად დიდია, თუმცა ქართულმა საკორპორაციო სამართალმა აღნიშნული სტანდარტების დანერგვა მხოლოდ უახლოეს წარსულში დაიწყო. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული საკორპორაციო სამართალი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევებს თითქმის არ იცნობს. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, რომ ნაშრომი მკითხველისთვის საინტერესო და აქტუალური ქნება.

საკვლევი თემის შესასწავლად გამოყენებულია საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი, შედარებით–სამართლებრივი კვლევა და თანმიმდევრული, კონცეპტუალური თხრობა. საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზით გამოკვლეულია ანგარიშვალდებულების ლეგიტიმური საფუძველი საკორპორაციო სამართალში. შედარებით–სამართლებრივი კვლევის მეშვეობით შესწავლილია აშშ–ს, გერმანიისა და ინგლისის საკორპორაციო სამართალში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპები, ხოლო თანმიმდევრული და კონცეპტუალური თხრობა მკითხველს აძლევს საშუალებას ლოგიკურად გაეცნოს კვლევის შედეგებს.

ნაშრომში გამოკვლეული საკითხები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მმართველობითი ორგანოების ანგარიშვალდებულება ეფექტური კორპორაციული მართვის განხორციელებისთვის აუცილებელი ელემენტია. რაც უფრო მაღალია ანგარიშვალდებულების ინდიკატორი, მით უფრო გამჭვირვალე, ეფექტური და სამართლიანია კორპორაციული მართვა და მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნული მკვეთრად დადებითად აისახება

არამხოლოდ კონკრეტული კორპორაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, არამედ ზოგადად ეკონომიკური ბაზრის სტაბილურობაზეც.

საძიებო სიტყვები: კორპორაციული მართვა, ანგარიშვალდებულება, ანგარიშვალდებულების მნიშვნელობა, კორპორაციული ღიაობა, ფინანსური გამჭვირვალობა, მმართველობის თეორია.

Abstract

This paper discusses the accountability of the corporate governing bodies to shareholders and the role of transparency in corporate governance.

Although Georgian corporate law has only lately begun to establish these requirements, accountability, and transparency play a huge role in company governance. Furthermore, It worth noting that Georgian corporate law is almost ignorant of the research undertaken on this issue. As a result, I believe the paper will be useful and fascinating to the audience.

I performed legislative framework analysis, comparative legal research, and a cohesive, conceptual narrative to research the research issue. The legal framework is examined to see if there is a reasonable basis for responsibility in corporate law. through comparative-legal research, the principles of accountability and transparency in the United States, Germany, and the United Kingdom are examined, and consistent and conceptual narration allows readers to comprehend the paper's investigated themes rationally.

The difficulties raised in this paper lead one to believe that governing body accountability is a necessary component of good corporate governance implementation. The higher the accountability measure, the more transparent, efficient, and equitable corporate governance is, which has a significant impact not only on the financial conditions of the company but also on market economic stability in general.

Key words: Corporate Governance, Accountability, Meaning of Accountability, Disclosure, Corporate Transparency, Financial Disclosure, Agency Theory.

მადლობა

მადლობას ვუხდის ჩემი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ბატონ დავით მაისურაძეს, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, ჩემი წვლილი შემეტანა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შექმნაში. აღნიშნული გამოცდილება გახდა მთავარი საფუძველი და მოტივაცია, მემუშავა წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემაზე.